ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №16

დ. ხულო 22 თებერვალი 2021 წ.

ერთის მხრივ, ხულოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში – „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მერის ვახტანგ ბერიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „თამუნა“ (შემდგომში - „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის ომარ შანთაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. შესყიდვის ობიექტია ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოსათვის (სამეურნეო საქონლი) ქაღალდის ან მუყაოს სარეგისტრაციო ჟურნალები/წიგნების, საბუღალტრო წიგნების, ფორმების და სხვა ნაბეჭდი საკანცელარიო ნივთების, სუფთა ქიმიკატები და სხვადასხვა ქიმიური ნივთიერებების პროდუქტების, ელექტრო ენერგიის გამანაწილებელი და საკონტროლო აპარატურის, გასანათებელი მოწყობილობები და ელექტრონათურების, საზომი ხელსაწყოები, ქსოვილის ნივთების, საწმენდი და საპრიალებელი პროდუქციის, დანადგარები მექანიკური ენერგიის წარმოებისა და გამოყენებისთვის და ხელსაწყოები, საკეტები, გასაღებები, ანჯამები, დამჭერები, ჯაჭვები და ზამბარები/რესორების გამარტივებული შესყიდვა, (შემდგომში – „საქონელი“), შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით დადგენილი წესით, **(CPV 22800000, 24900000, 31200000, 38300000, 39500000, 39700000, 39800000, 42100000, 44500000)**.

1.2. შესყიდვის ობიექტის რაოდენობა, ერთეულის ფასი და მთლიანი თანხა განისაზღვრება დანართის N1-ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

1.1. მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს **3300.00 (სამი ათას სამასი)** ლარს, მათ შორის, ამ ხელშეკრულების ფარგლებში ასათვისებელი თანხობრივი ლიმიტი განისაზღვროს: საკრებულოსათვის **800.00 (რვაასი)** ლარი, ხოლო მერიისათვის **2500.00 (ორი ათას ხუთასი)** ლარი, მიმდინარე წლის განმავლობაში.

2.2. საქონლის ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

2.3. შემსყიდველის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, მიმწოდებლის მიერ ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველთან ერთად დააფიქსიროს მიწოდებული საქონლის ღირებულება.

2.5. თუ შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული მისაწოდებელი საქონლის მოცულობების ღირებულებამ არ შეადგინა აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს ფაქტიურად მიწოდებული

საქონლის მოცულობების ღირებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს მიუწოდებელი საქონლის მოცულობების ანაზღაურებაზე.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ ხულოს მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის უფროსი ალბერტ ბოლქვაძე.

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი ინსპექტირების ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველი ინსპექტირების მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4. საქონლის შესაბამისობა და მიღება – ჩაბარება

4.1. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმ-წოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

4.2. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან, ხელახლა ინსპექტირებასთან დაკავშირებულ ხარჯებს, ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის ღირებულების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

4.3. საქონლის მიღება-ჩაბარება ხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, საქონლის მიწოდების ადგილზე.

4.4. მიწოდებული საქონლის შემოწმებასა და მიღება-ჩაბარებას განახორციელებს ხულოს მუნიციპალიტეტის **მერიის აპარატის უფროსი და ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი.**

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის სრული დაცვით.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) მიმწოდებელს წინასწარ გააცნოს ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებისას.

ბ) საქონლის მიწოდების დამოწმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში მოახდინოს მიმწოდებელთან ანგარიშსწორება.

გ) მიმწოდებელს აუნაზღაუროს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით სახელმწიფო შესყიდვის სრული ღირებულება, საქონლის მიწოდების დასრულებისთანავე.

5.3. შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.

ბ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება.

5.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

ბ) შემსყიდველის მოთხოვნისთანავე მიაწოდოს საქონელი.

5.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის შუალედური და საბოლოო ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელმა არ მიაწოდა საქონელი ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

6.3. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,02 % - ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

6.4. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ვადამდე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.5. ჯარიმისა და პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელ-შეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

6.6. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ასევე არაჯეროვნად შესრულებისას ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელ-შეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

7.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში.

7.9. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. საქონლის მიწოდებისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. საქონლის მიწოდების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან ეტაპობრივად, შემსყიდველის მოთხოვნისამებრ, **2021 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით პერიოდში.**

8.2. ხელშეკრულებების მოქმედების ვადა განისაზღვროს **ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწი-ლობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9.2. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორს-მაჟორული გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.3. მხარეს, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წერილობით ამის შესახებ მეორე მხარეს. ამასთან მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულკების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

11. გადასახადები და ბაჟები

11.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

12. გარანტია

12.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს წუნდებული საქონლის შეცვლა შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

12.2. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები საქონლის გამოყენების პროცესში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხიდან.

13. შეტყობინება

13.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

13.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

14. სხვა პირობები

14.1. ყველა სხვა საკითხი, რაც გათვალისწინებული არ არის ამ ხელშეკრულებით გადაწ-ყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი კი შემსყიდველს.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
ხულოს მუნიციპალიტეტი	შპს. „თამუნა“
მის: დაბა ხულო აბუსერისძე ტბელის ქ. №1	მის.: დ. ხულო, მამულაძის #2;
ხაზინის ერთიანი ანგარიში	ს.ს. საქართველოს ბანკი;
ს.კ 248056311	ს. კ. 448050395;
ანგ. №GE24NB0330100200165022	ანგ.: GE90BG0000000574048100
ბ/კ: TRESGE22	ბ/კ. BAGAGE 22
ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე	შპს „თამუნა“-ს დირექტორი ომარ შანთაძე
(ხელმოწერა) khulo municipality Digitally signed by khulo municipality Date: 2021.02.22 15:26:55 +04'00'	(ხელმოწერა) LTD TAMUNA Digitally signed by LTD TAMUNA Date: 2021.02.22 14:25:30 +04'00'

დანართი N1

ფასების ცხრილი

#	შესასყიდი ობიექტი	ტექ. მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი	საქონლის CPV კოდი
1	*1*	*2*	*3*	*4*	*5*	*6*	*7*
1	საკანცელარიო რვეული	A-4 ფორმატი	ცალი	18	2.50	45.00	22800000
2	ბლოკნოტი	პატარა	ცალი	20	3.50	70.00	
						115.00	
3	წებო	მშრალი 36 გრ	ცალი	20	0.50	10.00	24900000
4	წებო	თხევადი 0.50	ცალი	30	0.50	15.00	
						25.00	
5	ტრაანიკი გამაგრძელებელი	5 მეტრი სიგრძის კარგი ხარისხის 10ა სიმძლავრის	ცალი	15	8.00	120.00	31200000
6	ტრაანიკი გამაგრძელებელი	2,5მ სიგრძის სამფეხა მრავალი ჩამრთველით	ცალი	15	6.00	90.00	
7	ელექტრო ამომრთველი	100ა ფაზანოლი		10	18.00	180.00	
						390.00	
8	საზომი რულეტკა	50 მ	ცალი	5	17.00	85.00	38300000
9	საზომი რულეტკა	30 მ	ცალი	5	14.00	70.00	
10	საზომი რულეტკა	20 მ	ცალი	5	12.00	60.00	
11	საზომი რულეტკა	10 მ	ცალი	5	9.00	45.00	
12	საზომი რულეტკა	5 მ	ცალი	5	4.00	20.00	
						280.00	
13	იატაკის ტილო	ზომები: 80X50სმ	ცალი	40	4.50	180.00	39500000
						180.00	
14	ელექტრო ღუმელი	დახურული სპირალით	ცალი	18	40.00	720.00	39700000
15	ჰაერის გამაგრილებელი	პლასტმასის, არანაკლებ სამი სიჩქარით	ცალი	15	27.00	405.00	
						1125.00	

16	სარეცხი ფხვნილი	აბც 450 გ	ცალი	30	1.70	51.00	39800000
17	ჭურჭლის სარეცხი ჟელე	თხევადი 0,5	ცალი	20	2.70	54.00	
18	მინის საწმენდი ჟელე	0.5 ლიტრი	ცალი	50	1.5	75.00	
19	კომეტი			31	3.00	93.00	
20	დომესტოსი	დიდი		40	3.40	136.00	
						409.00	
21	ხელსაბანი ონკანი	უჟანგი, ცივი და ცხელი წყლის	ცალი	12	18.00	216.00	42100000
22	ხელსაბანი ონკანი	ერთიანი		10	13.00	130.00	
23	წყლის კრანი	ჩამკეტ გამხსნელი	ცალი	15	3.00	45.00	
						391.00	
24	ბოქლომი	უჟანგი 4 გასაღებით	ცალი	31	3.00	93.00	44500000
25	სახრახნისი		ცალი	5	1.50	7.50	
26	ჩაქუჩი	პატარა	ცალი	5	6.50	32.50	
27	ბრტყელტუჩა		ცალი	5	6.00	30.00	
28	კარის საკეტი	ზომით არანაკლებ 20სმ	ცალი	5	18.00	90.00	
29	კარის საკეტი	ზომით არანაკლებ 24სმ	ცალი	6	22.00	132.00	
						385.00	
						3300.00	

შპს ,,თამუნა“-ს დირექტორი LTD TAMUNA Digitally signed by LTD TAMUNA Date: 2021.02.22 14:26:10 +04'00' ომარ შანთაძე